

# ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტი თავი I

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები

## მუხლი 1. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

| ბალანსი                                |                 |                 |                   |                 |                 |
|----------------------------------------|-----------------|-----------------|-------------------|-----------------|-----------------|
| დასახელება                             | 2024 წლის ფაქტი | 2025 წლის გეგმა | 2026 წლის პროექტი |                 |                 |
|                                        |                 |                 | სულ               | საკუთარი        | სახ. ბიუჯეტი    |
| <b>შემოსავლები</b>                     | <b>35,504.1</b> | <b>36,889.0</b> | <b>22,472.1</b>   | <b>20,261.9</b> | <b>2,210.2</b>  |
| გადასახადები                           | 12,019.6        | 13,352.5        | 14,135.8          | 14,135.8        | 0.0             |
| გრანტები                               | 21,477.5        | 21,536.5        | 6,010.2           | 3,800.0         | 2,210.2         |
| სხვა შემოსავლები                       | 2,007.0         | 2,000.0         | 2,326.1           | 2,326.1         | 0.0             |
|                                        |                 |                 |                   |                 |                 |
| <b>ხარჯები</b>                         | <b>17,470.3</b> | <b>21,284.4</b> | <b>23,923.3</b>   | <b>19,586.4</b> | <b>4,336.9</b>  |
| შრომის ანაზღაურება                     | 7,796.3         | 11,245.1        | 12,695.2          | 12,526.2        | 169.0           |
| საქონელი და მომსახურება                | 5,958.9         | 6,714.0         | 6,557.0           | 5,258.3         | 1,298.7         |
| პროცენტი                               | 30.3            | 35.0            | 35.0              | 35.0            | 0.0             |
| სუბსიდიები                             | 1,079.8         | 538.5           | 360.0             | 360.0           | 0.0             |
| გრანტები                               | 0.0             | 0.0             | 0.0               | 0.0             | 0.0             |
| სოციალური უზრუნველყოფა                 | 1,029.2         | 1,152.4         | 1,183.8           | 987.8           | 196.0           |
| სხვა ხარჯები                           | 1,575.8         | 1,599.4         | 3,092.3           | 419.1           | 2,673.2         |
|                                        |                 |                 |                   |                 |                 |
| <b>საოპერაციო სალდო</b>                | <b>12,927.4</b> | <b>15,604.6</b> | <b>-1,451.2</b>   | <b>675.5</b>    | <b>-2,126.7</b> |
|                                        |                 |                 |                   |                 |                 |
| <b>არაფინანსური აქტივების ცვლილება</b> | <b>13,103.2</b> | <b>16,767.6</b> | <b>2,551.2</b>    | <b>893.7</b>    | <b>1,657.5</b>  |
| ზრდა                                   | 13,729.8        | 18,657.6        | 2,701.2           | 1,043.7         | 1,657.5         |
| კლება                                  | 626.6           | 1,890.0         | 150.0             | 150.0           | 0.0             |

|                              |         |          |          |        |          |
|------------------------------|---------|----------|----------|--------|----------|
| მთლიანი სალდო                | 175.8   | -1,163.0 | -4,002.4 | -218.2 | -3,784.2 |
| ფინანსური აქტივების ცვლილება | 134.4   | -1,246.0 | -4,032.4 | -248.2 | -3,784.2 |
| ზრდა                         | 3,138.1 | 0.0      | 0.0      | 0.0    | 0.0      |
| კლება                        | 3,003.7 | 1,246.0  | 4,032.4  | 248.2  | 3,784.2  |
| ვალდებულებების ცვლილება      | -41.4   | -83.0    | -30.0    | -30.0  | 0.0      |
| ზრდა                         | 0.0     | 0.0      | 0.0      | 0.0    | 0.0      |
| საგარეო                      | 0.0     | 0.0      | 0.0      | 0.0    | 0.0      |
| საშინაო                      | 0.0     | 0.0      | 0.0      | 0.0    | 0.0      |
| კლება                        | 41.4    | 83.0     | 30.0     | 30.0   | 0.0      |
| საგარეო                      | 0.0     | 0.0      | 0.0      | 0.0    | 0.0      |
| საშინაო                      | 41.4    | 83.0     | 30.0     | 30.0   | 0.0      |
| ბალანსი                      | 0.0     | 0.0      | 0.0      | 0.0    | 0.0      |

## მუხლი 2. ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

| დასახელება                   | 2024 წლის ფაქტი | 2025 წლის გეგმა | 2026 წლის პროექტი |          |              |
|------------------------------|-----------------|-----------------|-------------------|----------|--------------|
|                              |                 |                 | სულ               | საკუთარი | საბ. ბიუჯეტი |
| შემოსულობები                 | 36,191.7        | 38,779.0        | 22,622.1          | 20,411.9 | 2,210.2      |
| შემოსავლები                  | 35,504.1        | 36,889.0        | 22,472.1          | 20,261.9 | 2,210.2      |
| არაფინანსური აქტივების კლება | 687.6           | 1,890.0         | 150.0             | 150.0    | 0.0          |
| გადასახდელები                | 31,241.5        | 40,025.0        | 26,654.5          | 20,660.1 | 5,994.4      |
| ხარჯები                      | 17,470.3        | 21,284.4        | 23,923.3          | 19,586.4 | 4,336.9      |
| არაფინანსური აქტივების ზრდა  | 13,729.8        | 18,657.6        | 2,701.2           | 1,043.7  | 1,657.5      |
| ვალდებულებების კლება         | 41.4            | 83.0            | 30.0              | 30.0     | 0.0          |
| ნაშთის ცვლილება              | 4,950.2         | -1,246.0        | -4,032.4          | -248.2   | -3,784.2     |

## მუხლი 3. ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის შემოსავლები 22 472,1 ათასი ლარით, მათ შორის:

| დასახელება         | 2024 წლის ფაქტი | 2025 წლის გეგმა | 2026 წლის პროექტი |                 |                |
|--------------------|-----------------|-----------------|-------------------|-----------------|----------------|
|                    |                 |                 | სულ               | საკუთარი        | სახ. ბიუჯეტი   |
| <b>შემოსავლები</b> | <b>35,504.1</b> | <b>36,889.0</b> | <b>22,472.1</b>   | <b>20,261.9</b> | <b>2,210.2</b> |
| გადასახადები       | 12,019.6        | 13,352.5        | 14,135.8          | 14,135.8        | 0.0            |
| გრანტები           | 21,477.5        | 21,536.5        | 6,010.2           | 3,800.0         | 2,210.2        |
| სხვა შემოსავლები   | 2,007.0         | 2,000.0         | 2,326.1           | 2,326.1         | 0.0            |

#### მუხლი 4. ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები

განისაზღვროს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის გადასახადები 14 135,8 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

| დასახელება                                    | 2024 წლის ფაქტი | 2025 წლის გეგმა | 2026 წლის პროგნოზი |                 |              |
|-----------------------------------------------|-----------------|-----------------|--------------------|-----------------|--------------|
|                                               |                 |                 | სულ                | საკუთარი        | სახ. ბიუჯეტი |
| <b>გადასახადები</b>                           | <b>12,019.6</b> | <b>13,352.5</b> | <b>14,135.8</b>    | <b>14,135.8</b> | <b>-</b>     |
| <b>ქონების გადასახადი</b>                     | <b>2,622.4</b>  | <b>2,550.0</b>  | 2,550.0            | 2,550.0         | -            |
| საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) | 2,622.4         | 2,550.0         | 2,550.0            | 2,550.0         | -            |
| უცხოური საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)     |                 |                 | -                  | -               | -            |
| ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)         |                 |                 | -                  |                 | -            |
| სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე         |                 |                 | -                  |                 | -            |
| არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე      |                 |                 | -                  |                 | -            |
| <b>სხვა გადასახადები (დღგ)</b>                | <b>9,397.2</b>  | <b>10,802.5</b> | <b>11 585,8</b>    | <b>11,585,8</b> | <b>-</b>     |

## მუხლი 5. სხვა შემოსავლები

განისაზღვროს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები  
**2 326,1** ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

| დასახელება                                                                   | 2024<br>წლის<br>ფაქტი | 2025<br>წლის<br>გეგმა | 2025 წლის პროგნოზი |                |                 |
|------------------------------------------------------------------------------|-----------------------|-----------------------|--------------------|----------------|-----------------|
|                                                                              |                       |                       | სულ                | საკუთარი       | სახ.<br>ბიუჯეტი |
| <b>სხვა შემოსავლები</b>                                                      | <b>2,007.0</b>        | <b>2,000.0</b>        | <b>2,326.1</b>     | <b>2,326.1</b> | -               |
| შემოსავლები საკუთრებიდან                                                     | 1,626.3               | 1,430.0               | 1,866.1            | 1,866.1        | -               |
| პროცენტები                                                                   | 35.2                  | 30.0                  | 30.0               | 30.0           | -               |
| დივიდენდები                                                                  |                       |                       | -                  |                | -               |
| <b>რენტა</b>                                                                 | <b>1,591.1</b>        | <b>1,400.0</b>        | <b>1,836.1</b>     | <b>1,836.1</b> | -               |
| მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით<br>სარგებლობისთვის                          | 1,502.8               | 1,400.0               | 1,836.1            | 1,836.1        | -               |
| მოსაკრებელი წყლის რესურსებით<br>სარგებლობისთვის                              | 1,271.2               | 1,200.0               | 1,200.0            | 1,200.0        | -               |
| მოსაკრებელი წიაღისეულით<br>სარგებლობისთვის                                   | 11.6                  | 200.0                 | 636.1              | 636.1          | -               |
| მოსაკრებელი სახელმწიფო ტყის<br>ფონდის მერქნული რესურსებით<br>სარგებლობისთვის | 78.5                  | -                     | -                  | -              | -               |
| სხვა არაკლასიფიცირებული ბუნებრივი<br>რესურსებით სარგებლობის<br>მოსაკრებელი   | 141.5                 | -                     | -                  |                | -               |
| შემოსავალი მიწის იჯარიდან და<br>მართვაში გადაცემიდან                         | 88.3                  | -                     | -                  | -              | -               |
| <b>საქონლისა და მომსახურების<br/>რეალიზაცია</b>                              | <b>111.6</b>          | <b>65.0</b>           | <b>80.0</b>        | <b>80.0</b>    | -               |
| ადმინისტრაციული მოსაკრებელი და<br>გადასახდელები                              | 111.6                 | 65.0                  | 80.0               | 80.0           | -               |
| მოსაკრებელი დასახლებული<br>ტერიტორიის დასუფთავებისთვის                       | 14.7                  | 35.0                  | 50.0               | 50.0           | -               |
| მოსაკრებელი მშენებლობის ნებართვაზე                                           | 94.1                  | 30.0                  | 30.0               | 30.0           | -               |
| სხვა არაკლასიფიცირებული<br>მოსაკრებელი                                       | 2.8                   | -                     | -                  | -              | -               |
| არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი<br>და მომსახურება                         | -                     | -                     | -                  | -              | -               |
| <b>სანქციები (ჯარიმები და საურავები)</b>                                     | <b>194.7</b>          | <b>475.0</b>          | <b>350.0</b>       | <b>350.0</b>   | -               |

|                                                                                                                                                    |             |             |             |             |          |
|----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|-------------|-------------|-------------|-------------|----------|
| შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო ტრანსპორტზე საგზაო მეურნეობისა და კავშირგაბმულობის დარგში |             | 470.0       | 345.0       | 345.0       | -        |
| შემოსავალი სხვა არაკლასიფიცირებული სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამო                                     | 194.7       | 5.0         | 5.0         | 5.0         | -        |
| <b>ტრანსფერები რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული</b>                                                                                         | <b>74.4</b> | <b>30.0</b> | <b>30.0</b> | <b>30.0</b> | <b>-</b> |

## მუხლი 6. ბიუჯეტის ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციით მიხედვით

განისაზღვროს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის ხარჯები **23 923,3** ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

| დასახელება              | 2024 წლის ფაქტი | 2025 წლის გეგმა | 2026 წლის პროექტი |                 |                |
|-------------------------|-----------------|-----------------|-------------------|-----------------|----------------|
|                         |                 |                 | სულ               | საკუთარი        | საბ. ბიუჯეტი   |
| <b>სულ ჯამი</b>         | <b>16,713.0</b> | <b>21,284.4</b> | <b>23,923.3</b>   | <b>19,586.4</b> | <b>4,336.9</b> |
| შრომის ანაზღაურება      | 7,996.3         | 11,245.1        | 12,695.2          | 12,526.2        | 169.0          |
| საქონელი და მომსახურება | 5,406.0         | 6,714.0         | 6,557.0           | 5,258.3         | 1,298.7        |
| პროცენტი                | 30.3            | 35.0            | 35.0              | 35.0            | 0.0            |
| სუბსიდიები              | 550.6           | 538.5           | 360.0             | 360.0           | 0.0            |
| გრანტი                  | 0.0             | 0.0             | 0.0               | 0.0             | 0.0            |
| სოციალური უზრუნველყოფა  | 884.8           | 1,152.4         | 1,183.8           | 987.8           | 196.0          |
| სხვა ხარჯები            | 1,845.0         | 1,599.4         | 3,092.3           | 419.1           | 2,673.2        |

## მუხლი 7. ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება **2 551,2** ათასი ლარით. მათ შორის, არაფინანსური აქტივების ზრდა **2 701,2** ათასი ლარით, ხოლო არაფინანსური აქტივების კლება **150,0** ათასი ლარის ოდენობით.

**ზრდა:**

| პროგ. კოდი | დასახელება                                                           | 2024 წლის ფაქტი | 2025 წლის გეგმა | 2026 წლის პროექტი |
|------------|----------------------------------------------------------------------|-----------------|-----------------|-------------------|
| 01 00      | საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა | 917.3           | 475.4           | 161.9             |

|            |                                                                                |                 |                 |                |
|------------|--------------------------------------------------------------------------------|-----------------|-----------------|----------------|
| 02 00      | ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია                       | 16,729.3        | 16,958.1        | 2,184.9        |
| 03 00      | დასუფთავება და გარემოს დაცვა                                                   | 313.0           | 6.4             | 13.5           |
| 04 00      | განათლება                                                                      | 297.0           | 788.6           | 325.4          |
| 05 00      | კულტურა, რელიგია, გენდერული თანასწორობა, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები | 595.0           | 429.1           | 15.5           |
| 06 00      | მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა                       | 1.4             | -               | -              |
| <b>სულ</b> |                                                                                | <b>18,853.0</b> | <b>18,657.6</b> | <b>2,701.2</b> |

**კლება:**

| არაფინანსური აქტივების კლება | 2024 წლის ფაქტი | 2025 წლის გეგმა | 2026 წლის პროექტი |
|------------------------------|-----------------|-----------------|-------------------|
| ძირითადი აქტივები            | 86.1            | -               | -                 |
| არაწარმოებული აქტივები       | 601.5           | 1,890.0         | 150.0             |
| <b>სულ</b>                   | <b>687.6</b>    | <b>1,890.0</b>  | <b>150.0</b>      |

**მუხლი 8. ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია.**

განისაზღვროს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ კრილში შემდეგი რედაქციით:

| ფუნქციონალური კოდი | დასახელება                                                                                                                      | 2024 წლის ფაქტი | 2025 წლის გეგმა | 2026 წლის პროექტი |
|--------------------|---------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|-----------------|-----------------|-------------------|
| <b>701</b>         | <b>საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება</b>                                                                               | <b>5,947.3</b>  | <b>6,778.0</b>  | <b>6,290.7</b>    |
| 7011               | აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები | 5,894.1         | 6,665.0         | 6,225.7           |
| 70111              | აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა                                                          | 5,681.8         | 6,409.7         | 6,050.7           |
| 70112              | ფინანსური და ფისკალური საქმიანობა                                                                                               | 212.3           | 255.3           | 175.0             |

|            |                                                                  |                 |                 |                 |
|------------|------------------------------------------------------------------|-----------------|-----------------|-----------------|
| 7016       | ვალთან დაკავშირებული ოპერაციები                                  | 53.2            | 113.0           | 65.0            |
| <b>702</b> | <b>თავდაცვა</b>                                                  | -               | -               | -               |
| 7025       | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა თავდაცვის სფეროში             |                 | -               | -               |
| <b>704</b> | <b>ეკონომიკური საქმიანობა</b>                                    | <b>17,880.9</b> | <b>16,911.1</b> | <b>3,082.6</b>  |
| 7045       | ტრანსპორტი                                                       | 6,473.5         | 8,901.3         | 516.6           |
| 70451      | საავტომობილო ტრანსპორტი და გზები                                 | 6,473.5         | 8,901.3         | 516.6           |
| 7049       | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში       | 11,407.4        | 8,009.8         | 2,566.0         |
| <b>705</b> | <b>გარემოს დაცვა</b>                                             | <b>2,155.9</b>  | <b>2,138.1</b>  | <b>2,035.2</b>  |
| 7051       | ნარჩენების შეგროვება გადამუშავება და განადგურება                 | 2,048.4         | 1,973.4         | 1,848.5         |
| 7056       | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა გარემოს დაცვის სფეროში        | 107.5           | 164.7           | 186.7           |
| <b>706</b> | <b>საბინაო-კომუნალური მეურნეობა</b>                              | <b>1,552.2</b>  | <b>794.3</b>    | <b>785.8</b>    |
| 7062       | კომუნალური მეურნეობის განვითარება                                | -               | -               | -               |
| 7066       | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში | 1,552.2         | 794.3           | 785.8           |
| <b>707</b> | <b>ჯანმრთელობის დაცვა</b>                                        | <b>782.4</b>    | <b>928.1</b>    | <b>1,011.2</b>  |
| 7073       | საავადმყოფოების მომსახურება                                      | 602.9           | 737.3           | 805.0           |
| 7074       | საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება                             | 179.5           | 190.8           | 206.2           |
| <b>708</b> | <b>დასვენება, კულტურა და რელიგია</b>                             | <b>4,599.6</b>  | <b>5,086.7</b>  | <b>5,049.6</b>  |
| 7081       | მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში                       | 1,739.2         | 1,932.6         | 1,488.4         |
| 7082       | მომსახურება კულტურის სფეროში                                     | 2,819.3         | 3,109.0         | 3,474.2         |
| 7084       | რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა                | 41.1            | 45.1            | 87.0            |
| <b>709</b> | <b>განათლება</b>                                                 | <b>3,979.0</b>  | <b>5,433.6</b>  | <b>5,583.6</b>  |
| 7091       | სკოლამდელი აღზრდა                                                | 2,512.2         | 3,480.6         | 3,694.0         |
| 7092       | ზოგადი განათლება                                                 | 1,153.9         | 1,221.7         | 1,704.6         |
| 7098       | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში            | 312.9           | 731.3           | 185.0           |
| <b>710</b> | <b>სოციალური დაცვა</b>                                           | <b>1,052.6</b>  | <b>1,955.1</b>  | <b>2,815.8</b>  |
| 7109       | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში      | 1,052.6         | 1,955.1         | 2,815.8         |
| <b>სულ</b> |                                                                  | <b>37,949.9</b> | <b>40,025.0</b> | <b>26,654.5</b> |

### მუხლი 9. ბიუჯეტის საოპერაციო და მთლიანი სალდო

განისაზღვროს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის მთლიანი სალდო **-4002,4** ათასი ლარით, ხოლო საოპერაციო სალდო **-1 451,2** ათასი ლარით.

| დასახელება       | 2024 წლის ფაქტი | 2025 წლის გეგმა | 2026 წლის პროექტი |
|------------------|-----------------|-----------------|-------------------|
| საოპერაციო სალდო | 12,927.4        | 15,604.6        | -1,451.2          |
| მთლიანი სალდო    | 175.8           | -1,163.0        | -4,002.4          |

### მუხლი 10. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვროს **4 032,4** ათასი ლარით.

ფინანსური აქტივების კლება **4 032,4** ათასი ლარის ოდენობით წარმოადგენს მუნიციპალიტეტის სახაზინო ანგარიშზე არსებულ ნაშთს, რომლის გამოყენებაც მოხდება 2025 წლის განმავლობაში.

| დასახელება | 2024 წლის ფაქტი | 2025 წლის გეგმა | 2026 წლის პროექტი |
|------------|-----------------|-----------------|-------------------|
| ზრდა       | 3,138.1         | 0.0             | 0.0               |
| კლება      | 3,003.7         | 1,246.0         | 4,032.4           |
| სულ        | 134.4           | -1,246.0        | -4,032.4          |

### მუხლი 11. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

განისაზღვროს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება **(-30,0)** ათასი ლარის ოდენობით. აღნიშნული ვალდებულება წარმოადგენს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან მიღებული სესხის ძირითადი თანხის დაფარვას.

**მუხლი 12. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალის საპროგნოზო მოცულობა 2026 წლისათვის განისაზღვროს 24,2 ათასი ლარის ოდენობით.**

| კრედიტორი                                                                            | ვალის ნაშთი 2026 წლის ბოლოსათვის |
|--------------------------------------------------------------------------------------|----------------------------------|
| სსიპ „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი“ მყარი ნარჩენების მართვის პროექტი. | 24,2                             |
| <b>სულ</b>                                                                           | <b>24,2</b>                      |

### **მუხლი 13. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი**

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებული გადასახადების დაფინანსების მიზნით, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2026 წლის სარეზერვო ფონდი განისაზღვროს 150,0 ათასი ლარის ოდენობით და მისი განკარგვა განხორციელდეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 7 დეკემბრის N9 დადგენილების „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ შესაბამისად მერის მიერ;

## **თავი II**

**ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები, პროგრამები, ქვეპროგრამები**

### **მუხლი 14. ბიუჯეტის პრიორიტეტები, პროგრამები და ქვეპროგრამები**

***I პრიორიტეტი: ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 02 00)***

***1.1 პროგრამა - გზებისა და ტროტუარების მიმდინარე შეკეთება (პროგრამული კოდი 02 01 01)***

**პროგრამის აღწერა:**

პროგრამის მიზანია საგზაო ინფრასტრუქტურის გამართული ფუნქციონირება, ტრანსპორტის და მოსახლეობის შეუფერხებელი გადაადგილება. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ადგილობრივი მნიშვნელობის გზების რეაბილიტაცია, მუნიციპალიტეტში

არსებული რეაბილიტირებული გზების მდგომარეობის შენარჩუნება. მუნიციპალიტეტის საჭიროებებიდან და მოსახლეობის მოთხოვნებიდან გამომდინარე ახალი გზების მშენებლობა;

პროგრამის მიზანი:

საგზაო ინფრასტრუქტურის გამართული ფუნქციონირება, ტრანსპორტის და მოსახლეობის შეუფერხებელი გადაადგილება.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ადგილობრივი მნიშვნელობის გზების რეაბილიტაცია, მუნიციპალიტეტში არსებული რეაბილიტირებული გზების მდგომარეობის შენარჩუნება.

*1.2 პროგრამა - გზებისა და ტროტუარების კაპიტალური შეკეთება (პროგრამული კოდი 02 01 02)*

პროგრამის აღწერა:

პროგრამის მიზანია საგზაო ინფრასტრუქტურის გამართული ფუნქციონირება, ტრანსპორტის და მოსახლეობის შეუფერხებელი გადაადგილება. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ადგილობრივი მნიშვნელობის გზების რეაბილიტაცია, მუნიციპალიტეტში არსებული რეაბილიტირებული გზების მდგომარეობის შენარჩუნება. მუნიციპალიტეტის საჭიროებებიდან და მოსახლეობის მოთხოვნებიდან გამომდინარე ახალი გზების მშენებლობა;

პროგრამის მიზანი:

საგზაო ინფრასტრუქტურის გამართული ფუნქციონირება, ტრანსპორტის და მოსახლეობის შეუფერხებელი გადაადგილება.

*1.3 პროგრამა - გარე განათება და ელემენტარული (პროგრამული კოდი 02 02 )*

პროგრამის აღწერა :

პროგრამა ითვალისწინებს გარე განათების ქსელის გაფართოებას. ახალი ტექნოლოგიური მიღწევების გათვალისწინებით გარე განათების LED სანათების მოწყობას, ასევე მოძველებული სანათების ახალი სანათებით ჩანაცვლებას. ღამის საათებში მოსახლეობის, განსაკუთრებით ქალების, ბავშვების, ხანდაზმული და შშმ პირთა კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის დასახლებულ ერთეულებში ღამის განათების უზრუნველყოფა. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის ექსპლუატაცია. პროგრამით ასევე გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული

ადმინისტრაციული შენობების და გარე განათების მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯების დაფარვა.

პროგრამის მიზანი:

ღამის საათებში მოსახლეობის მ.შ. ქალების, ბავშვების, ხანდაზმული და შშმ პირთა უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილების უზრუნველყოფა, მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ადმინისტრაციული შენობების და გარე განათების ქსელების ელ.მომარაგებით უზრუნველყოფა.

1.3.1. ქვეპროგრამა - გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია (ქვეპროგრამის კოდი 02 02 01)

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის დასახლებულ ერთეულებში ღამის განათების უზრუნველყოფას, რომლის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის ექსპლუატაცია.

ქვეპროგრამის მიზანი:

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გარე განათების ქსელის გამართული მუშაობის უზრუნველყოფა.

1.3.2. ქვეპროგრამა გარე განათების ახალი წერტილების მოწყობა (ქვეპროგრამის კოდი 02 02 02)

ქვეპროგრამის აღწერა:

2026 წელს განხორციელდება გარე განათების ახალი ბოძების, განათების ფარების და ელ. ხაზების მოწყობა(ქსელის გაფართოება).

ქვეპროგრამის მიზანი:

გარე განათების ახალი სანათების მოწყობა და გარე განათებით ახალი გზების მონაკვეთების უზრუნველყოფა.

1.3.3. ქვეპროგრამა - გარე განათების და ელექტროენერგიის ხარჯი (ქვეპროგრამის კოდი 02 02 03)

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამით გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ადმინისტრაციული შენობების (დასახლებულ ერთეულებში) და გარე განათების მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯების დაფარვა.

ქვეპროგრამის მიზანი:

მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ადმინისტრაციული შენობების და გარე განათების ქსელების ელ.მომარაგებით უზრუნველყოფა.

*1.4 პროგრამა - მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 02 03)*

პროგრამის აღწერა:

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის დასახლებულ ერთეულებში საზოგადოებრივი დანიშნულების ინფრასტრუქტურული სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია, დაგეგმილია მოსახლეობის დასვენებისა და გართობის მიზნით მოწესრიგებული და კეთილმოწყობილი სკვერების, პარკების და საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტების მოწყობა-რეაბილიტაცია, სადაც მაქსიმალურად იქნება გათვალისწინებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა, საბავშვო ეტლით მოსარგებლეთა, ბავშვების, ქალების და კაცების საჭიროებები.

პროგრამის მიზანი:

მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ცენტრებში საზოგადოებრივი დანიშნულების ინფრასტრუქტურული სივრცეების მოწყობა;

მოსახლეობისთვის დასვენებისა და გართობის მიმზიდველი გარემოს შექმნა.

*1.4.1 ქვეპროგრამა - საზოგადოებრივი დანიშნულების შენობების რეაბილიტაცია (ქვეპროგრამის კოდი 02 03 06)*

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამის ფარგლებში, მოსახლეობისთვის ხელმისაწვდომი და კომფორტული მომსახურების უზრუნველყოფის მიზნით განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასახლებულ ტერიტორიულ ერთეულებში, ადმინისტრაციული შენობების კეთილმოწყობა და შენობების სარეაბილიტაციო - სარემონტო სამუშაოები.

ქვეპროგრამის მიზანი:

მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ცენტრებში საზოგადოებრივი დანიშნულების შენობების არსებული მდგომარეობის გაუმჯობესება.

*1.5. პროგრამა - საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება (პროგრამული კოდი 02 05)*

პროგრამის აღწერა:

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება დაგეგმილი ინფრასტრუქტურული სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა.

პროგრამის მიზანი:

ინფრასტრუქტურული სამუშაოების განხორციელებისთვის საჭირო შესაბამისი დოკუმენტაციებით უზრუნველყოფა.

*1.6. პროგრამა - სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებები (პროგრამული კოდი 02 06)*

პროგრამის აღწერა:

პროგრამის ფარგლებში მოხდება სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების და სტიქიის შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურული ობიექტების სარეაბილიტაციო სამუშაოები.

პროგრამის მიზანი:

ადმინისტრაციულ ერთეულებში მოწესრიგებული ინფრასტრუქტურული სივრცის შექმნა.

*1.7. პროგრამა - ზედამხედველობა და ექსპერტიზა (პროგრამული კოდი 02 09)*

პროგრამის აღწერა:

სამშენებლო ნორმებისა და წესების შესაბამისად, სამშენებლო-სამონტაჟო და აღდგენა-რეკონსტრუქციის სამუშაოების ჩასატარებლად საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის დამუშავება. სამშენებლო სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო-სადიებო და გეოლოგიური სამუშაოების ჩატარება და შესაბამისი დასკვნების მომზადება; დამუშავებული პროექტების

ექსპერტიზა და მშენებლობისათვის საჭირო სრულყოფილი დოკუმენტაციის მომზადება. შესრულებული სამუშაოების ხარისხის და მოცულობის შესაბამისობის დადგენის მიზნით მიმდინარე და დასრულებულ სამუშაოებზე ეტაპობრივი ექსპერტიზის განხორციელება.

პროგრამის მიზანი:

ინფრასტრუქტურული სამუშაოების განხორციელებისთვის საჭირო შესაბამისი დოკუმენტაციებით უზრუნველყოფა და შესრულებული სამუშაოს ხარისხის კონტროლი.

*1.8. პროგრამა - სოფლის მხარდაჭერის პროგრამა (პროგრამული კოდი 02 04)*

პროგრამის აღწერა:

პროგრამის ფარგლებში მოხდება მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში (საერთო კრებაზე) მოსახლეობასთან შეხვედრისას, შეთანხმებით განსახორციელებელი პროექტების დაფინსება.

პროგრამის მიზანი:

უზრუნველყოფით მოსახლეობის მოთხოვნები.

***II პრიორიტეტი: დასუფთავება და გარემოს დაცვა (პროგრამული კოდი 03 00)***

*2.1. პროგრამა - მუნიციპალური ნარჩენების მართვა და დასუფთავება (პროგრამული კოდი 03 01)*

პროგრამის აღწერა:

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ცალკეული ტერიტორიის, მწვანე საფარის, ქალაქში არსებული ეზოების დაგვა-დასუფთავება; სანაგვე კონტეინერების დეზიფექცია, მუნიციპალიტეტის ცალკეული ტერიტორიების, ქუჩების მორწყვა-მორეცხვა; მუნიციპალიტეტის ტერიტორიის თოვლის საფარისაგან გაწმენდა, მოყინვის საწინააღმდეგო სამუშაოების განხორციელება და საჭიროების შემთხვევაში თოვლის მასის გატანა; საყოფაცხოვრებო, მყარი და დიდი ზომის ნარჩენების, ქუჩების მონახვეტის შეგროვება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ 350 ურნებში და ნაგავსაყრელ პოლიგონამდე ტრანსპორტირება; ქალაქის ტერიტორიიდან ნარჩენების გატანას მოემსახურება 2 ნაგავმზიდი, ხოლო მუნიციპალიტეტში შემავალი სოფლებისა და დაბების ტერიტორიიდან გატანას მოემსახურება 2 ნაგავმზიდი. დღეს არსებული სიტუაციით

მუნიციპალიტეტში ყოველდღიურად სუფთავდება 42500 კვ.მ ფართობი, რომელსაც ახორციელებს 18 მეეზოვე.

პროგრამის მიზანი:

მუნიციპალიტეტში ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება და დასუფთავების მუნიციპალური სერვისის გამართული ფუნქციონირება.

## *2.2. პროგრამა - მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა (პროგრამული კოდი 03 02)*

პროგრამის აღწერა:

პროგრამის ფარგლებში მოხდება მუნიციპალიტეტის ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება. მუნიციპალიტეტში არსებულ სკვერებსა და პარკებში მცენარეთა ფიტო-სანიტარიული და ეკოლოგიური მდგომარეობის გამოსწორება, მოსახლეობისათვის კომფორტული გარემოს უზრუნველყოფა. განხორციელდება ახალი ხე-მცენარეების და სხვადასხვა ნარგავების დარგვა, ახალი გამწვანების ზონების შექმნა. უზრუნველყოფილი იქნება მწვანე საფარის მოვლა-პატრონობა, მწვანე ნარგავებით ტერიტორიების შევსება და მათი შენარჩუნება. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულია 4 ერთეული, 8000 კვმ საერთო ფართობის სკვერი, პარკი და ტყე-პარკი. მ.შ. ქალაქის ტერიტორიაზე 3 ერთეული.

პროგრამის მიზანი:

მუნიციპალიტეტში ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება და მცენარეთა ფიტო-სანიტარიული მდგრადობის შენარჩუნება, არსებული სკვერებისა და პარკების მოვლა-პატრონობა.

## *III პრიორიტეტი: განათლება (პროგრამული კოდი 04 00)*

### *3.1. პროგრამა - სკოლამდელი განათლება (პროგრამული კოდი 04 01)*

პროგრამის აღწერა:

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 23 საბავშვო ბაღი 600 აღსაზრდელით, რომლის ფუნქციონირებას უზრუნველყოფს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „მომავალი“. სულ სკოლამდელ დაწესებულებებში დასაქმებულია 295 თანამშრომელი, მათ შორის 55 აღმზრდელი, 48 აღმზრდელის თანაშემწე. ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად იგეგმება: სკოლამდელი აღზრდის სფეროში მართვის პოლიტიკის განხორციელება, სტანდარტების შესაბამისი სააღმზრდელო პროგრამა/მეთოდოლოგიის დახვეწა, საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისი კვებით უზრუნველყოფა, აღსაზრდელთა

უსაფრთხოების მიზნით ბაგა-ბაღების ინფრასტრუქტურის (ეზო, შენობა, ინვენტარი და სხვა) განვითარება. ბაგა-ბაღების პერსონალის შრომითი პირობების გაუმჯობესება და მათი კვალიფიკაციის ამაღლება. პროგრამით დაგეგმილია სკოლამდელი განათლების ინფრასტრუქტურის მოწესრიგება და არსებულ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა. ამასთან პროგრამის ფარგლებში მოხდება სკოლამდელი აღზრდის წარმატებულ პედაგოგთა შრომის სტიმულირება და წახალისება.

პროგრამის მიზანი:

სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში ხარისხიანი სააღმზრდელო და საგანმანათლებლო პროცესისათვის ხელშეწყობა; საბავშვო ბაღებში სწავლების ხარისხის და აღმზრდელების კვალიფიკაციის ამაღლება განათლების სამინისტროს მიერ შემუშავებული და მთავრობის სხვადასხვა დადგენილებით დამტკიცებული სტანდარტების შესაბამისად.

### 3.2. პროგრამა - განათლების სისტემის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 04 02)

პროგრამის აღწერა:

გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული დაწყებითი და ზოგადი განათლების მქონე დაწესებულებების სრულყოფილი ფუნქციონირებისათვის ხელშეწყობა. დაფინანსდება ისეთი აქტივობები, ღონისძიებები და პროექტები, რომლებიც ხელს შეუწყობს მოსწავლეების უფრო გააქტიურებას და განათლების პოპულარიზაციას. ასევე, განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოსწავლეთა სატრანსპორტო საშუალებებით მომსახურების უზრუნველყოფა.

პროგრამის მიზანი:

ზოგადი განათლების ხელშეწყობა მუნიციპალური პროგრამებით.

### 3.3. პროგრამა - საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის მოწყობა (პროგრამული კოდი 04 05)

პროგრამის აღწერა:

პროგრამა ითვალისწინებს საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას, მოსწავლეთათვის უსაფრთხო და კომფორტული გარემოს შექმნას, საჯარო სკოლების მატერიალური ბაზის გაუმჯობესებას. საჯარო სკოლების ოპერირებისა და მოვლა პატრონობის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების გაზიფიცირება/საწვავის/ზრიკეტის/ შეშის შესყიდვა.

პროგრამის მიზანი:

გაუმჯობესდება საჯარო სკოლებში სამუშაო და სასწავლო პირობები, რაც ხელს შეუწყობს სასწავლო აღმზრდელობითი პროცესის ხარისხის ამაღლებას.

#### *3.4. პროგრამა - არაფორმალური განათლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 04 07)*

პროგრამის აღწერა:

პროგრამა ითვალისწინებს საჯარო სკოლებში ოქროსა და ვერცხლის მედალოსანი მოსწავლეების დაჯილდოებას შესაბამისად არაუმეტეს 500 და 300 ლარისა.

პროგრამის მიზანი:

პროგრამის მიზანია არაფორმალური განათლების ხელშეწყობა.

#### *3.5 პროგრამა- საბავშვო ბაღების მშენებლობა რეაბილიტაციის სამუშაოები (პროგრამული კოდი 04 06)*

პროგრამის აღწერა: საბავშვო ბაღების მშენებლობა.

პროგრამის მიზანი:

გაუმჯობესდება საბავშვო ბაღებში სამუშაო და სასწავლო პირობები, რაც ხელს შეუწყობს სასწავლო აღმზრდელობითი პროცესის ხარისხის ამაღლებას.

### *IV პრიორიტეტი : კულტურა, რელიგია, ქალისა და კაცის თანასწარობა, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 00)*

#### *4.1. პროგრამა - სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)*

პროგრამის აღწერა:

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სპორტსმენთა მომზადების ორგანიზაციული და მეთოდური ხელშეწყობა, სპორტულ ასოციაციასთან, კავშირებთან, სპორტულ ფედერაციებთან და სხვადასხვა სპორტულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა. კლუბების, ნაკრები გუნდების მომზადება და მონაწილეობა ქვეყნის და საერთაშორისო ასპარეზოებში.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სპორტული სკოლებისა და კლუბების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ

სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება. განხორციელდება ლელობურთის და რაგბის განვითარების ხელშეწყობა.

პროგრამის მიზანი:

მასობრივი სპორტის განვითარების ხელშეწყობა, ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია, სპორტზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და სპორტული მიღწევების გაუმჯობესების ხელშეწყობა.

4.1.1. ქვეპროგრამა - ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სპორტის და სპორტულ ღონისძიებათა ორგანიზების ცენტრი (ქვეპროგრამის კოდი 05 01 05)

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სპორტისა და სპორტულ ღონისძიებათა ორგანიზების ცენტრი, რომელიც ემსახურება მომავალი თაობების პროფესიონალ სპორტსმენებად ჩამოყალიბებას, მოეწეობა შეჯიბრებები სხვადასხვა სახეობებში.

ქვეპროგრამის მიზანი:

სპორტული ღონისძიებების მხარდაჭერა და ადმინისტრაციულ ერთეულში არსებულ სპორტულ სკოლებსა და სექციებში გაერთიანებული ახალგაზრდა სპორტსმენების ხელშეწყობა. მოყვარული და პროფესიონალი სპორტსმენების მონაწილეობას ხელშეწყობა სხვადასხვა რანგის გასვლით სპორტულ ტურნირებსა და შეჯიბრებებში.

4.1.2. ქვეპროგრამა - ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ლელოს და რაგბის კლუბი „ჯანი და ღონე“ (ქვეპროგრამის კოდი 05 01 07)

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ლელოს და რაგბის კლუბი „ჯანი და ღონე“ და მიზნად ისახავს რაგბის პოპულარიზაციას, ჩოხატაურის რაგბის ტრადიციების აღდგენა განვითარებას, მასობრივი სპორტის ხელშეწყობას.

ქვეპროგრამის მიზანი:

ლელოს და რაგბის პოპულარიზაცია და ხელშეწყობა, კლუბებში ბავშვთა და მოზარდთა ჩართულობის უზრუნველყოფა

4.1.3. ქვეპროგრამა - ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი „ბახმარო“ (ქვეპროგრამის კოდი 05 01 04)

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება საფეხბურთო კლუბი "ბახმარო". ასევე ბავშვთა სამი ასაკობრივი გუნდი: U-13, U-15 და „ბახმარო-2“.

ქვეპროგრამის მიზანი:

ქვეპროგრამის მიზანია ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია.

#### 4.2. პროგრამა - კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 )

პროგრამის აღწერა:

მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები ჩატარება.

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებების განხორციელებისთვის საჭირო ხარჯები, დაფინანსდება კულტურის ცენტრი, სახელოვნებო სკოლების გაერთიანება, არაფორმალური განათლებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ცენტრი, მოხდება საახალწლო ღონისძიებების გამართვა.

პროგრამის მიზანი:

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში კულტურის პროექტების განხორციელების, კულტურისა და ხელოვნების სფეროს ხელმისაწვდომობის, შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარების ხელშეწყობა და კულტურის პოპულარიზაცია.

4.2.1. ქვეპროგრამა - ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი (ქვეპროგრამის კოდი 05 02 01)

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტში ხელოვნების განვითარების ხელშეწყობას, დაფინანსდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები: საახალწლო კონცერტი, საშობაო სპექტაკლი, ქალთა დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, დედაენის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, პასკის ფესტივალი, ბავშვთა დაცვის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, ღონისძიება „შეზღუდული შესაძლებლობები არ არსებობს“, ნოდარ დუმბაძისადმი მიძღვნილი კვირეული, ფერისცვალების დღესასწაული, გიორგობის ბრწყინვალე დღესასწაული, საანგარიშო კონცერტი და სხვა.

ქვეპროგრამის მიზანი:

კულტურის განვითარების ხელშეწყობა, გურული ტრადიციებისა და ფოლკლორის პოპულარიზაცია, მუნიციპალიტეტის ცნობადობის ამაღლება როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საზღვარგარეთ;

4.2.2. საახალწლო ღონისძიებების ხარჯი (ქვეპროგრამა 05 02 08 01 )

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება საახალწლო ღონისძიებები.

ქვეპროგრამის მიზანი:

საახალწლო გარემოს შექმნა.

4.2.3. ქვეპროგრამა - ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანება (ქვეპროგრამის კოდი 05 02 09)

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანება, რომელიც აერთიანებს სამუსიკო და სამხატვრო სკოლებს და მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლს.

ქვეპროგრამის მიზანი:

ბავშვებსა და მოზარდებში მუსიკალური , სამხატვრო და სახელოვნებო ცოდნის გაღრმავების ხელშეწყობა.

4.2.4. ქვეპროგრამა - ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის არაფორმალური განათლებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ცენტრი (ქვეპროგრამის კოდი 05 02 10)

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის არაფორმალური განათლებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ცენტრი, რომელიც აერთიანებს სამუზეუმო და საბიბლიოთეკო გაერთიანებებს და თანამედროვე სახვითი ხელოვნების გალერეას.

ქვეპროგრამის მიზანი:

მუნიციპალიტეტში არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვა და პოპულარიზაცია; არაფორმალური განათლების ხელშეწყობა;

4.3. ქვეპროგრამა - ახალგაზრდული საქმიანობის ხელშეწყობა (ქვეპროგრამის კოდი 05 07)

ქვეპროგრამის აღწერა:

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის პოლიტიკის დოკუმენტის 2025 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების მიზნით, გეგმით განსაზღვრული ღონისძიებების დაფინანსება.

ქვეპროგრამის მიზანი:

ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლება თვითმმართველობის საკითხებზე

4.4. პროგრამა - რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 04)

პროგრამის აღწერა:

პროგრამის ფარგლებში მოხდება შემოქმედის ეპარქიის განვითარების ფონდის ანგარიშზე თანხის ჩარიცხვა რომელიც მოხმარდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ეკლესია-მონასტრების მიმდინარე და კაპიტალური ხარჯების დაფინანსებას.

პროგრამის მიზანი:

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული რელიგიური დაწესებულებების ფინანსური მხარდაჭერა.

4.5. პროგრამა - ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭო (პროგრამული კოდი 05 05)

პროგრამის აღწერა:

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, ქალთა და ბავშვთა საკითხებზე სისტემური მუშაობისა და საქართველოს მთავრობის მიერ შექმნილ ქალისა და მამაკაცის თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორის კომისიასთან კოორდინირებული მუშაობის უზრუნველსაყოფად, იქმნება ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭო, რომელიც უზრუნველყოფს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ორგანოების მიერ მიღებული სამართლებრივი აქტების ანალიზის განხორციელებას და საჭიროების შემთხვევაში ქალთა და ბავშვთა უფლების დარღვევის აღმოფხვრის უზრუნველსაყოფად წინადადებების შემუშავებას; ქალთა და ბავშვთა უფლებების დაცვის საკითხების რეალიზაციისათვის ცალკეული ღონისძიებების შემუშავება და დაგეგმვას; ქალთა და ბავშვთა უფლებების დაცვის საკითხების უზრუნველსაყოფად განხორციელებული ღონისძიებების

მონიტორინგის და შეფასების სისტემის შემუშავება და დანერგვას, ასევე, შესაბამისი რეკომენდაციების მომზადებას.

პროგრამის მიზანი:

საქართველოს მთავრობის მიერ შექმნილ ქალისა და მამაკაცის თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორის კომისიასთან კოორდინირებული მუშაობა და ქალთა და ბავშვთა უფლებების დაცვა.

4.5.1. ქვეპროგრამა - ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს საქმიანობის ორგანიზაციული უზრუნველყოფა (ქვეპროგრამის კოდი 05 05 01)

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამა ითვალისწინებს ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს საქმიანობის ეფექტიანობის გაზრდას და მისთვის დაკისრებული ფუნქციების შესრულების ხელშეწყობას.

ქვეპროგრამის მიზანი:

ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს საქმიანობის ორგანიზაციული უზრუნველყოფა.”.

4.5.2. ქვეპროგრამა - ქალთა ეკონომიკური გაძლიერება (ქვეპროგრამის კოდი 05 05 02)

ქვეპროგრამის აღწერა:

ქალთა ეკონომიკური გაძლიერების მიზნით კონკურსის გამოცხადება ადგილობრივი ქალი მეწარმეებისთვის, სადაც ისინი კონკურსში გამარჯვების შედეგად მოიპოვებენ შესაბამის დაფინანსებას.

ქვეპროგრამის მიზანი:

ქალთა ეკონომიკური გაძლიერება.

***V პრიორიტეტი: მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 00)***

5.1.1. ქვეპროგრამა - ა(ა)ი.პ. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი (ქვეპროგრამის კოდი 06 01 01)

## ქვეპროგრამის აღწერა:

მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემის წინაშე მდგარი ამოცანების შესრულება არსებული რეალობებისადმი მიდგომების ახლებურად გააზრებას და რადიკალურ გარდაქმნებს ითხოვს. საზოგადოებრივი ჯანდაცვის პრობლემათა გადაჭრა მოსახლეობის მომსახურების მრავალფეროვნებაში, არსებულ პირობებთან ადაპტირებაში, ჯანმრთელობისათვის მოსალოდნელი საფრთხეებისა და რისკების თავიდან აცილებაში მდგომარეობს. თვითმმართველი ერთეულების უფლებამოსილებები საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში არის: ა) საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში სანიტარიული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა; ბ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაავადებების გავრცელების პრევენციის მიზნით დერატიზაციის, დეზინსექციისა და დეზინფექციის ღონისძიებათა ორგანიზება; გ) საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა; დ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარიული ნორმების დაცვის ზედამხედველობა, მათ შორის, საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში ესთეტიკური და კოსმეტიკური პროცედურების განმახორციელებელ დაწესებულებებში ინფექციების პრევენციისა და კონტროლის სანიტარიული ნორმების დაცვის კონტროლი; ე) პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრით განსაზღვრული იმუნოპროფილაქტიკისათვის საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მიწოდებული მასალების მიღების, შენახვისა და განაწილების უზრუნველყოფა სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლებისათვის; ვ) პრევენციული და ეპიდემიოლოგიური კონტროლის ღონისძიებების გატარება ეპიდსაშიშროებისას; ზ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პირველადი ეპიდკვლევის ხელშეწყობა; თ) „ტუბერკულოზის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონით მათთვის განსაზღვრული უფლებამოსილებების განხორციელება.

საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სტრატეგიულ ფუნქციები: გადამდებ/არაგადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობა, მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასება; ჯანმრთელობის რისკ-ფაქტორების მონიტორინგი და მყისიერი რეაგირება საგანგებო სიტუაციების დროს, კოორდინაცია ცენტრალურ სტრუქტურებთან; ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ხელშეწყობა. საკვებისა და სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტებისა და სხვა ნორმატიული დოკუმენტების მომზადებაში მონაწილეობა და მუნიციპალური მმართველობის ორგანოების ინფორმირება სავარაუდო საკვებისმიერი და წყლისმიერი ინფექციების გავრცელების მხრივ არსებული მდგომარეობის შესახებ; ჯანმრთელობის განმტკიცება ჯანმრთელობის დაცვაში უთანასწორობისა და სოციალურ დეტერმინანტებზე ზემოქმედების განხორციელების გზით; დაავადებათა ადრეული გამოვლენა და პროფილაქტიკა.; მოსახლეობის, თემის წარმომადგენლების, ცალკეული მოწყვლადი ჯგუფების ორგანიზება და წარმართვა

ჯანმრთელობასა და კეთილდღეობასთან დაკავშირებულ საკითხებში. ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარება, მოტივირება და შენარჩუნება; საზოგადოებრივი ჯანდაცვის ორგანიზაციულ-სტრუქტურული სრულყოფა, ადეკვატური დაფინანსების მიღწევა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სერვისებსა და პროდუქტებზე ხელმისაწვდომობის უზუნველყოფა; ჯანმრთელობის ადვოკატირება, მოსახლეობასთან კომუნიკაციის გაუმჯობესება, საინფორმაციო განმარტებითი საქმიანობა, სოციალური მობილიზაცია; მტკიცებულებებზე დაფუძნებული ჯანდაცვის პოლიტიკისა და პრაქტიკის წარმოებისათვის კვლევითი სამუშაოების წარმოება და მონაწილეობის მიღება.

ახალი ვირუსის COVID-19 -ის ეპიდემიოლოგიური კონტროლი ადგილობრივ დონეზე, არსებული რეგულაციების მონიტორინგი.

ქვეპროგრამის მიზანი:

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფა და სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის კონტროლი.

#### 5.1.2 ქვეპროგრამა - მოქალაქეთა სამედიცინო დახმარება (ქვეპროგრამის კოდი 06 01 03)

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამის მოსარგებლეები არიან ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეები, სხვადასხვა კატეგორიის მიხედვით:

- ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეები, რომელთა ოჯახების სოციალური სარეიტინგო ქულა 0-დან 250 000-მდეა.
- ბენეფიციარის მედიკამენტის შესამენი თანხა განისაზღვროს არაუმეტეს 100 (ასი) ლარის ოდენობით, რომელიც გაიცემა საბიუჯეტო წლის განმავლობაში ერთხელ.
- ბენეფიციარის სამედიცინო მომსახურების გადასახდელი თანხა 1000 (ათასი) ლარის ჩათვლით ანაზღაურდება არაუმეტეს 500 (ხუთასი) ლარით, 1001 (ათას ერთი) ლარზე მეტი კი 60%-ით, მაგრამ არაუმეტეს 1200 (ათას ორასი) ლარით.
- საპენსიო ასაკის პირების მკურნალობის ხარჯები პაციენტის მიერ გადასახდელი თანხის ნაწილში ანაზღაურდეს არაუმეტეს 1500 (ათას ხუთასი) ლარით.
- ონკოდაავადებულთა სამედიცინო მომსახურება, თითოეული ბენეფიციარის სამედიცინო მოსახურების ხარჯი განისაზღვროს წელიწადში 2000 (ორიათასი) ლარით, ხოლო

მედიკამენტების შესაძენი ხარჯის დაფინანსება 1000 (ათასი) ლარით;

- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების სამედიცინო მომსახურებას თანადაფინანსება და მედიკამენტების ღირებულების ანაზღაურება, ბენეფიციარის სამედიცინო მომსახურების გადასახდელი თანხა 1000 (ათასი) ლარის ჩათვლით ანაზღაურდება არაუმეტეს 500 (ხუთასი) ლარით, ხოლო 1001 (ათასერთი) ლარზე მეტი 60% (სამოცი) პროცენტით, მაგრამ არაუმეტეს 2000 ლარი. ბენეფიციარის მედიკამენტების შესაძენი თანხა განისაზღვროს 150 (ას ორმოცდაათი) ლარით, რომელიც გაიცემა საბიუჯეტო წლის განმავლობაში ერთხელ.

- ომის ვეტერანების და საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში მონაწილე პირების სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსება და მედიკამენტების ღირებულების ანაზღაურება. ბენეფიციარის სამედიცინო მომსახურების ანაზღაურება თანადაფინანსების სახით განისაზღვროს არაუმეტეს 800 (რვაასი) ლარით, ხოლო მედიკამენტების ღირებულების ანაზღაურება არაუმეტეს 150 (ას ორმოცდაათი) ლარით, რომელიც გაიცემა წელიწადში ერთხელ;

- 0-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვების სამედიცინო მომსახურების დაფინანსება და მედიკამენტების ღირებულების ანაზღაურება. ბენეფიციარის სამედიცინო მომსახურების ხარჯი ანაზღაურებული იქნეს სრულად, ხოლო მედიკამენტების შესაძენი თანხა განისაზღვროს 100 (ასი) ლარით, რომელიც წელიწადში გაიცემა ერთხელ.

- 0-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვების (გულის თანდაყოლილი პათოლოგიით, ლეიკემიით, ეპილეფსიით, ცერემბრალური დამბლით დაავადებული) მკურნალობის ხარჯების დაფინანსება.

- მეტყველების დარღვევათა კორექციის სამედიცინო მომსახურების დაფინანსება ერთ ბენეფიციარზე წელიწადში განისაზღვროს არა უმეტეს 1800 (ათას რვაასი) ლარით.

- მაღალტექნოლოგიური დიაგნოსტიკური და კომპიუტერული გამოკვლევების (კორონოგრაფია, ანგიოგრაფია, კომპიუტერული ტომოგრაფია და სხვა) დაფინანსება. ქვეპროგრამის მოსარგებლის სამედიცინო მომსახურების ხარჯი განისაზღვროს არაუმეტეს 500 (ხუთასი) ლარით, გარდა გულის და/ან კორონალური არტერიების ანგიოგრაფიის. გულისა და/ან კორონალური არტერიების ანგიოგრაფიის მომსახურების ხარჯი განისაზღვროს არაუმეტეს 800 (რვაასი) ლარით.

- აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის მომსახურების დაფინანსება. თითოეული მოსარგებლის მომსახურების წლიური ლიმიტი განისაზღვროს 3000 (სამი ათასი)ლარი.

18 წლის და მეტი ასაკის შშმ პირთა პერსონალური ასისტენტის მომსახურებით უზრუნველყოფა.

ქვეპროგრამის მიზანი:

სამედიცინო სერვისებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების და მედიკამენტების თანადაფინანსება

5.1.3. ქვეპროგრამა - დაკრძალვის ხარჯი (ქვეპროგრამის კოდი 06 02 01)

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამის ფარგლებში ხდება სარიტუალო მომსახურების ხარჯის ანაზღაურება.

- მარტოხელა მიცვალებულის სარიტუალო მომსახურების ხარჯი განისაზღვროს 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით;  
ქვეპროგრამის მიზანი:

სარიტუალო მომსახურების ხარჯის ანაზღაურება.

5.1.4 . ქვეპროგრამა - სტიქიური მოვლენების და მძიმე საცხოვრებელ და ეკონომიკურ პირობებში მყოფი ოჯახების დახმარება (ქვეპროგრამის კოდი 06 02 03)

ქვეპროგრამის აღწერა:

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფ ოჯახებს, ეძლევათ საშუალება მიიღონ დახმარება, კერძოდ:

- მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი, უბედური შემთხვევებისა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახების ფულადი დახმარება, საჭიროების შემთხვევაში საცხოვრებელი ფართით დროებით უზრუნველყოფა.
- მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი, სტიქიური მოვლენების და უბედური შემთხვევების შედეგად დაზარალებული ოჯახების ფულადი დახმარება

განისაზღვროს არაუმეტეს 5000 (ხუთი ათასი) ლარით, გარდა ხანძრის შედეგად დაზარალებულისა.

- ხანძრის შედეგად დაზარალებული ოჯახის ერთჯერადი ფულადი დახმარება განისაზღვროს 10 000 (ათი ათასი) ლარი.
- დროებით საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფისათვის ბინის ქირის ოდენობა განისაზღვროს თვეში 200 (ორასი) ლარი;

ქვეპროგრამის მიზანი:

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სტიქიური მოვლენების შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი, მძიმე საცხოვრებელ და ეკონომიკურ პირობებში მყოფი ოჯახებისადმი ერთჯერადი დახმარება, გადაუდებელ შემთხვევაში ბინის შესყიდვის ან დაქირავების ხარჯების ანაზღაურება.

5.1.5. ქვეპროგრამა - ლტოლვილთა დახმარება (ქვეპროგრამის კოდი 06 02 04)

ქვეპროგრამის აღწერა:

- ფულადი დახმარება განისაზღვროს ზამთრისათვის საჭირო სათბობი შეშის შესაძენად თითოეული ოჯახისათვის 200 (ორასი) ლარით;
- გარდაცვლილი დევნილის სარიტუალო მომსახურების ხარჯი განისაზღვროს 500 (ხუთასი) ლარით;
- დევნილი ოჯახის ერთჯერადი დახმარება 200 (ორასი) ლარით;

ქვეპროგრამის მიზანი:

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარება.

5.1.6. ქვეპროგრამა - საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულთა ოჯახების დახმარება (ქვეპროგრამის კოდი 06 02 05)

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამის მოსარგებლეები არიან საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში გარდაცვლილ მეომართა ოჯახები და დაზარალებული პირები.

- ქ.თბილისში 1989 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის მიზნით

გამართული მშვიდობიანი აქციის დარბევის შედეგად დაზარალებული (მოწამლული) პირებისათვის 150 (ასორმოცდაათი) ლარის ოდენობით.

- საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის მონაწილე საბრძოლო ჭრილობების შედეგად გარდაცვლილი (ომის შემდგომი პერიოდი) მებრძოლის ოჯახს 300 (სამასი) ლარის ოდენობით.

- საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში გარდაცვლილ მეომართა ოჯახების და დაზარალებული პირების დახმარება. ერთჯერადი ფულადი დახმარება განისაზღვრება 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით მიიღებს:

- ქ.თბილისში 1989 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის მიზნით გამართული მშვიდობიანი აქციის მოთხოვნით გამართული მშვიდობიანი აქციის დარბევის შედეგად გარდაცვლილი პირის ერთი ოჯახი და ორი დაზარალებული (მოწამლული) პირი.

- აგვისტოს ომის დროს დაღუპული მეომრის სამი ოჯახი და აფხაზეთის კონფლიქტის დროს დაღუპული მეომრის რვა ოჯახი;

- ზამთრის სეზონთან დაკავშირებით საშეშე მერქნის შესაძენად გარდაცვლილი მეომრის თითოეული ოჯახი და დაზარალებული პირები დამატებით მიიღებენ 200 (ორასი) ლარს.

ქვეპროგრამის მიზანი:

საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულთა ოჯახების დახმარება.

5.1.7. ქვეპროგრამა - ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა (ქვეპროგრამის კოდი 06 02 07)

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამის მოსარგებლეები არიან:

- მრავალშვილიანი ოჯახები. ყოველთვიური ფულადი დახმარება განისაზღვრება თითოეულ ბავშვზე თვეში 30 (ოცდაათი) ლარის ოდენობით.
- ახალშობილთა ოჯახების ერთჯერადი ფულადი დახმარება. ქვეპროგრამის მოსარგებლე მიიღებს ერთჯერად ფულად დახმარებას ახალშობილზე 200 (ორასი) ლარი.
- მეორე მსოფლიო ომის ვეტერანები, 9 მაისის დღესასწაულთან დაკავშირებით ერთჯერადი ფულადი დახმარება. დახმარების ოდენობა ომის თითოეულ მონაწილეზე განისაზღვროს 1000 (ათასი) ლარის ოდენობით.
- 100 წელს მიღწეული მოქალაქეთათვის ერთჯერადი ფულადი დახმარება. ფულადი დახმარება განისაზღვროს 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით.
- 18 წლამდე ასაკის დედ-მამით ობოლი ბავშვებისადმი ყოველთვიური ფულადი დახმარება. ყოველთვიური დახმარების ოდენობა თითოეულ ბენეფიციარის ოჯახზე განისაზღვროს 200 (ორასი) ლარის ოდენობით;
- საქართველოს კანონის „ბავშვის უფლებათა კოდექსის“ შესაბამისად ბავშვის უფლებების დაცვის და მხარდაჭერის მიზნით ფულადი დახმარება. ერთჯერადი ფულადი დახმარება განისაზღვროს ბენეფიციარის ოჯახზე 1000 (ათასი) ლარამდე.
- ხელოვნური კვების პროდუქტების საჭიროების მქონე პირების დახმარება. ქვეპროგრამის მოსარგებლე პირები, ბენეფიციარის მშობელი ან კანონიერი წარმომადგენელი საჭიროების მიხედვით მიიღებს ყოველთვიურ ფულად დახმარებას 350 (სამას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით, ან ხელოვნური კვების პროდუქტების მოთხოვნის შემთხვევაში თანხა ხელშეკრულების საფუძველზე გადაერიცხება პროდუქტების შემომტან ორგანიზაციას.
- 0-დან 18 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ოჯახების კომუნალური გადასახადების დაფარვა.
- თირკმლის უკმარისობით დაავადებული დიალიზზე მყოფი პირების ყოველთვიური დახმარება. ქვეპროგრამის მოსარგებლე მიიღებს ყოველთვიურად 200 (ორასი) ლარს მგზავრობის ღირებულების ასანაზღაურებლად.
- ჰემოფილიით დაავადებულ პირთა ფულადი დახმარება. ჰემოფილიით დაავადებული პირები ფულად დახმარებას მიიღებენ წელიწადში ერთხელ არაუმეტეს 500 (ხუთასი) ლარისა;
- განსაკუთრებით მძიმე ჯანმრთელობის მდგომარეობის მქონე პირთა დახმარება.

ყოველთვიური ფულადი დახმარება თითოეულ ბენეფიციარზე განისაზღვროს 100 (ასი) ლარის ოდენობით;

-მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირის ფინანსური დახმარება. სტატუსის მქონე პირის ყოველთვიური დახმარება განისაზღვროს 100 ლარის ოდენობით.

- აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტების ფინანსური დახმარება. სასწავლო წლის განმავლობაში ფინანსური დახმარება განისაზღვროს 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით;

ქვეპროგრამის მიზანი:

სხვადასხვა საჭიროების მქონე ბავშვებისა და ოჯახების მხარდაჭერა, მათი გაძლიერების ხელშეწყობის მიზნით.

5.1.8. ქვეპროგრამა - ქალისა და კაცის თანასწორობა (ქვეპროგრამის კოდი 06 02 08)

ქვეპროგრამის აღწერა:

ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა ფინანსური დახმარება. თითოეულ ბენეფიციარზე წელიწადში ერთხელ ფულადი დახმარება განისაზღვროს არაუმეტეს 1 000 (ათასი) ლარით.

ქვეპროგრამის მიზანი:

ქვეპროგრამის მიზანია ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა ფინანსური დახმარება.

5.1.9. ქვეპროგრამა - სოციალური პრობლემების გადაწყვეტისა და კულტურულ-საგანმანათლებლო სფეროს ხელშეწყობის მიზნით პროგრამების თანადაფინანსება (ქვეპროგრამის კოდი 06 02 09)

ქვეპროგრამის აღწერა:

მუნიციპალიტეტის მერის მიერ თანადაფინანსებას ექვემდებარება სოციალური პრობლემების გადაწყვეტისა და კულტურულ-საგანმანათლებლო სფეროს განვითარების მიზნით იურიდიული პირების მიერ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი წარმოდგენილი პროექტები.

ა(ა)იპ განათლების ცენტრის (6-დან 18-წლამდე პირების დღის ცენტრი, კომუნალური და კვების პროდუქტების ხარჯი) თანადაფინანსება ;

დაფინანსდება წითელი ჯვარი ;

ქალები ქალებისათვის საინიციატივო შეხვედრები გურიაში ;

ბავშვთა ადრეული განვითარების ქვეპროგრამა ;

გამარჯვებულ ქალთა კლუბი;

საინიციატივო ჯგუფი „გოგოლესუბნელი ქალები“;

ყველა ასაკის შშმ პირთა მდგომარეობის შესწავლა და დასვენება მთისა და ზღვის კურორტებზე;

ქვეპროგრამის მიზანი:

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები სოციალური პრობლემების მქონე მიზნობრივი ჯგუფებისთვის კულტურულ-საგანმანათლებლო და სხვადასხვა სოციალური პროგრამების ხელმისაწვდომობის გაზრდა.

#### ***VI პრიორიტეტი: საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 01 00)***

პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება. ამავე პრიორიტეტიდან დაფინანსდება ასევე შემდეგი პროგრამები:

- მოქალაქეთა მონაწილეობის მხარდაჭერა საზოგადოების ინფორმირება (პროგრამული კოდი 01 01 04);
- ჩოხატაურის მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამა (პროგრამული კოდი 01 01 05);
- საჯარო მოსამსახურეთა გადამზადება (პროგრამული კოდი 01 01 06);
- სარეზერვო ფონდი (პროგრამული კოდი 01 02 01);
- მგეფისა და სხვა ვალდებულების დაფარვა (პროგრამული კოდი 01 02 04);

მმართველობითი სფეროს გამართული ფუნქციონირება მუნიციპალიტეტის საქმიანობის ეფექტურად წარმართვის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია, სადაც მნიშვნელოვანი როლი ენიჭება მოსახლეობის ჩართულობის სისტემის შექმნას და უზრუნველყოფს საბიუჯეტო პროცესების გაუმჯობესებას, მიმდინარე პროცესების მართვას და სხვა აქტივობებს.

6.1.1. პროგრამა - მოქალაქეთა მონაწილეობის მხარდაჭერა საზოგადოების ინფორმირება (პროგრამული კოდი 01 01 04)

პროგრამის აღწერა:

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ ითვალისწინებს ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ისეთ ფორმებს როგორებიცაა: ა) დასახლების საერთო კრება; ბ) პეტიცია; გ) სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო; დ) მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის სხდომებში მონაწილეობა; ე) მუნიციპალიტეტის მერის და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშების მოსმენა. გარდა ამისა, კანონის თანახმად, მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია, ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით განსაზღვრული ფორმების გარდა, შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვროს ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის სხვა ფორმები, რომლებიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას.

მუნიციპალიტეტის ორგანოების საქმიანობის ეფექტურობისთვის მნიშვნელოვანია, გაიზარდოს მოქალაქეთა მონაწილეობა მათ საქმიანობაში და მოხდეს მოქალაქეთა ინტერესების გათვალისწინება საქმიანობის დაგეგმვა-განხორციელებისას, რაც მათ შორის გულისხმობს სხვადასხვა ფორმებისა და ინსტრუმენტების გამოყენებით მოსახლეობის ინფორმირებას მონაწილეობის ფორმებისა და მუნიციპალიტეტის არსებული პროცესების შესახებ, ადმინისტრაციულ ერთეულებში არსებული საჭიროებების გამოვლენის მიზნით სხვადასხვა მექანიზმებისა და ინსტრუმენტების გამოყენებით მოსახლეობასთან კომუნიკაციას, მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების, ბიუჯეტისა და პროგრამების ფორმირებისას მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინების მიზნით სხვადასხვა მექანიზმების/ინსტრუმენტების გამოყენებას და სხვა.

პროგრამა შედგება შემდეგი ღონისძიებებისგან:

1. დასახლების საერთო კრების შესახებ მოქალაქეთა ინფორმირება და ორგანიზების მატერიალურ-ტექნიკური მხარდაჭერა;
2. მერის და საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშების მოსმენის ორგანიზების პროცესის მხარდაჭერა და მოქალაქეთა მონაწილეობისთვის შესაბამისი პირობების უზრუნველყოფა;
3. საკრებულოს და საკრებულოს კომისიის სხდომებში მოქალაქეთა მონაწილეობისთვის შესაბამისი პირობების უზრუნველყოფა;

4. ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნებისთვის შესაბამისი სისტემის შექმნა, გაუმჯობესება და ფუნქციონირების უზრუნველყოფა;

5. პეტიციის ელექტრონული მექანიზმების დანერგვა და სისტემის ფუნქციონირების ხელშეწყობა;

6. თვითმმართველობის ორგანოებთან არსებული საკონსულტაციო-სათათბირო საბჭოების (სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს, შშმ პირთა საბჭოს, ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭოს და სხვა) საქმიანობის ხელშეწყობა;

7. კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა;

8. სამოქალაქო (მონაწილეობითი) ბიუჯეტის შესახებ მოქალაქეთა ინფორმირებულობის ამაღლება.

პროგრამის მიზანი:

მუნიციპალიტეტის საქმიანობის შესახებ მოქალაქეთა ინფორმირებულობა ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების პროცესში მათი ჩართულობის ხელშეწყობა.

6.1.2. პროგრამა - ჩოხატაურის მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამა ბიუჯეტი (პროგრამული კოდი 01 01 05)

პროგრამის აღწერა:

მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროგრამა წარმოადგენს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საქმიანობაში საქართველოს ორგანული კანონის “ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის” 85-ე მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრულ მოქალაქეთა მონაწილეობის დამატებით ფორმას და საბიუჯეტო პროცესის შემადგენელ ნაწილს, რომელიც მოქალაქეებს აძლევს შესაძლებლობას წარადგინონ და აირჩიონ მათთვის პრიორიტეტული პროექტები, რომლის განხორციელებას უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტი. პროგრამის ფარგლებში მოქალაქეთა მიერ წარმოდგენილი იდეების განხორციელების არეალი უნდა ექცეოდეს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში და მიზნად ისახავდეს საზოგადოებრივი სიკეთის შექმნას.

პროგრამის მიზანი:

პროგრამის მიზანს წარმოადგენს თვითმმართველობის განხორციელების პროცესში მოქალაქეთა მონაწილეობის მხარდაჭერა მოქალაქეთა საჭიროებებზე დაფუძნებული ბიუჯეტის შემუშავების, საბიუჯეტო პროცესის გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების ხარისხის ამაღლების გზით.

### 6.1.3. პროგრამა - საჯარო მოსამსახურეთა გადამზადება (პროგრამული კოდი 01 01 06)

პროგრამის აღწერა:

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს შესაბამისად პროგრამის ფარგლებში მოხდება მერიისა და საკრებულოს თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით სხვასასხვა მიმართულებით კადრების გადამზადება.

პროგრამის მიზანი:

პროგრამის მიზანია საჯარო მოხელეთა გადამზადება-კვალიფიკაციის ამაღლება.

## თავი III

### მუხლი 15. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2026 ბიუჯეტის ასიგნებები

განისაზღვროს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის გადასახდელები თანდართული რედაქციით:

|   | დასახელება                   | 2024 წლის ფაქტი | 2025 წლის გეგმა | 2026 წლის პროექტი |                 |                |
|---|------------------------------|-----------------|-----------------|-------------------|-----------------|----------------|
|   |                              |                 |                 | სულ               | საკუთარი        | სახ. ბიუჯეტი   |
| 1 | 2                            | 3               | 4               | 5                 | 6               | 7              |
|   | <b>სულ ჯამი</b>              | <b>37,949.9</b> | <b>40,025.0</b> | <b>26,654.5</b>   | <b>20,660.1</b> | <b>5,994.4</b> |
|   | <b>მომუშავეთა რიცხოვნობა</b> | <b>190</b>      | <b>190</b>      | <b>190</b>        |                 |                |
|   | ხარჯები                      | 19,055.5        | 21,284.4        | 23,923.3          | 19,586.4        | 4,336.9        |
|   | შრომის ანაზღაურება           | 9,402.6         | 11,245.1        | 12,695.2          | 12,526.2        | 169.0          |
|   | საქონელი და მომსახურება      | 5,958.9         | 6,714.0         | 6,557.0           | 5,258.3         | 1,298.7        |
|   | პროცენტი                     | 9.2             | 35.0            | 35.0              | 35.0            | -              |
|   | სუბსიდიები                   | 1,079.8         | 538.5           | 360.0             | 360.0           | -              |
|   | სოციალური უზრუნველყოფა       | 1,029.2         | 1,152.4         | 1,183.8           | 987.8           | 196.0          |
|   | სხვა ხარჯები                 | 1,575.8         | 1,599.4         | 3,092.3           | 419.1           | 2,673.2        |
|   | არაფინანსური აქტივების ზრდა  | 18,853.0        | 18,657.6        | 2,701.2           | 1,043.7         | 1,657.5        |
|   | ვალდებულებების კლება         | 41.4            | 83.0            | 30.0              | 30.0            | -              |

|                 |                                                                             |                |                |                |                |            |
|-----------------|-----------------------------------------------------------------------------|----------------|----------------|----------------|----------------|------------|
| <b>01 00</b>    | <b>საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა</b> | <b>5,949.9</b> | <b>6,764.0</b> | <b>6,290.7</b> | <b>6,283.4</b> | <b>7.3</b> |
|                 | <b>მომუშავეთა რიცხოვნობა</b>                                                | <b>190</b>     | <b>190</b>     | <b>190</b>     |                |            |
|                 | ხარჯები                                                                     | 4,991.2        | 6,205.6        | 6,098.8        | 6,098.4        | 0.4        |
|                 | შრომის ანაზღაურება                                                          | 3,766.0        | 4,079.3        | 4,534.5        | 4,534.5        | -          |
|                 | საქონელი და მომსახურება                                                     | 1,045.3        | 1,718.4        | 1,288.8        | 1,288.4        | 0.4        |
|                 | პროცენტი                                                                    | 9.2            | 21.4           | 35.0           | 35.0           | -          |
|                 | სოციალური უზრუნველყოფა                                                      | 25.5           | 19.6           | -              | -              | -          |
|                 | სხვა ხარჯები                                                                | 145.2          | 366.9          | 240.5          | 240.5          | -          |
|                 | არაფინანსური აქტივების ზრდა                                                 | 917.3          | 475.4          | 161.9          | 155.0          | 6.9        |
|                 | ვალდებულებების კლება                                                        | 41.4           | 83.0           | 30.0           | 30.0           | -          |
| <b>01 01</b>    | <b>წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება</b>            | <b>5,896.7</b> | <b>6,409.7</b> | <b>6,050.7</b> | <b>6,043.4</b> | <b>7.3</b> |
|                 | <b>მომუშავეთა რიცხოვნობა</b>                                                | <b>190</b>     | <b>190</b>     | <b>190</b>     | <b>190</b>     |            |
|                 | ხარჯები                                                                     | 4,979.4        | 5,934.3        | 5,888.8        | 5,888.4        | 0.4        |
|                 | შრომის ანაზღაურება                                                          | 3,766.0        | 4,079.3        | 4,534.5        | 4,534.5        | -          |
|                 | საქონელი და მომსახურება                                                     | 1,045.3        | 1,477.1        | 1,113.8        | 1,113.4        | 0.4        |
|                 | სოციალური უზრუნველყოფა                                                      | 25.5           | 19.6           | -              | -              | -          |
|                 | სხვა ხარჯები                                                                | 142.6          | 358.3          | 240.5          | 240.5          | -          |
|                 | სხვადასხვა მიმდინარე ხარჯები                                                |                | -              | -              | -              | -          |
|                 | არაფინანსური აქტივების ზრდა                                                 | 917.3          | 475.4          | 161.9          | 155.0          | 6.9        |
| <b>01 01 01</b> | <b>ჩოხატაურის საკრებულო</b>                                                 | <b>1,551.6</b> | <b>1,697.9</b> | <b>1,845.0</b> | <b>1,845.0</b> | <b>-</b>   |
|                 | <b>მომუშავეთა რიცხოვნობა</b>                                                | <b>45</b>      | <b>45</b>      | <b>45</b>      | <b>45</b>      |            |
|                 | ხარჯები                                                                     | 1,521.1        | 1,693.2        | 1,840.0        | 1,840.0        | -          |
|                 | შრომის ანაზღაურება                                                          | 1,082.6        | 1,179.5        | 1,270.0        | 1,270.0        | -          |
|                 | საქონელი და მომსახურება                                                     | 297.4          | 345.1          | 329.5          | 329.5          | -          |
|                 | სოციალური უზრუნველყოფა                                                      | 0.8            | -              | -              | -              | -          |
|                 | სხვა ხარჯები                                                                | 140.3          | 168.6          | 240.5          | 240.5          | -          |
|                 | არაფინანსური აქტივების ზრდა                                                 | 30.5           | 4.7            | 5.0            | 5.0            | -          |
| <b>01 01 02</b> | <b>ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერია</b>                                     | <b>4,130.2</b> | <b>4,581.7</b> | <b>4,140.0</b> | <b>4,140.0</b> | <b>-</b>   |
|                 | <b>მომუშავეთა რიცხოვნობა</b>                                                | <b>145</b>     | <b>145</b>     | <b>145</b>     | <b>145</b>     |            |
|                 | ხარჯები                                                                     | 3,424.3        | 4,215.4        | 3,990.0        | 3,990.0        | -          |
|                 | შრომის ანაზღაურება                                                          | 2,683.4        | 2,899.8        | 3,264.5        | 3,264.5        | -          |

|                 |                                                                    |                 |                 |                |                |                |
|-----------------|--------------------------------------------------------------------|-----------------|-----------------|----------------|----------------|----------------|
|                 | საქონელი და მომსახურება                                            | 713.9           | 1,106.3         | 725.5          | 725.5          | -              |
|                 | სოციალური უზრუნველყოფა                                             | 24.7            | 19.6            | -              | -              | -              |
|                 | სხვა ხარჯები                                                       | 2.3             | 189.7           | -              | -              | -              |
|                 | არაფინანსური აქტივების ზრდა                                        | 705.9           | 366.3           | 150.0          | 150.0          |                |
| <b>01 01 04</b> | <b>მოქალაქეთა მონაწილეობის მხარდაჭერა საზოგადოების ინფორმირება</b> | <b>212.3</b>    | <b>128.8</b>    | <b>9.3</b>     | <b>2.0</b>     | <b>7.3</b>     |
|                 | ხარჯები                                                            | 31.4            | 24.4            | 2.4            | 2.0            | 0.4            |
|                 | საქონელი და მომსახურება                                            | 31.4            | 24.4            | 2.4            | 2.0            | 0.4            |
|                 | არაფინანსური აქტივების ზრდა                                        | 180.9           | 104.4           | -              | -              | 6.9            |
| <b>01 01 05</b> | <b>ჩოხატაურის მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამა</b>                  | <b>-</b>        | <b>-</b>        | <b>30.0</b>    | <b>30.0</b>    | <b>-</b>       |
|                 | ხარჯები                                                            | -               | -               | 30.0           | 30.0           | -              |
|                 | საქონელი და მომსახურება                                            | -               | -               | 30.0           | 30.0           | -              |
| <b>01 01 06</b> | <b>საჯარო მოსამსახურეთა გადამზადების პროგრამა</b>                  | <b>2.6</b>      | <b>1.3</b>      | <b>26.4</b>    | <b>26.4</b>    | <b>-</b>       |
|                 | ხარჯები                                                            | 2.6             | 1.3             | 26.4           | 26.4           | -              |
|                 | საქონელი და მომსახურება                                            | 2.6             | 1.3             | 26.4           | 26.4           | -              |
| <b>01 02</b>    | <b>საერთო დანიშნულების ხარჯები</b>                                 | <b>53.2</b>     | <b>368.3</b>    | <b>240.0</b>   | <b>240.0</b>   | <b>-</b>       |
|                 | ხარჯები                                                            | 11.8            | 285.3           | 210.0          | 210.0          | -              |
|                 | საქონელი და მომსახურება                                            | -               | 255.3           | 175.0          | 175.0          | -              |
|                 | პროცენტი                                                           | 9.2             | 21.4            | 35.0           | 35.0           | -              |
|                 | სხვა ხარჯი                                                         | 2.6             | 8.6             | -              | -              | -              |
|                 | ვალდებულებების კლება                                               | 41.4            | 83.0            | 30.0           | 30.0           | -              |
| <b>01 02 01</b> | <b>სარეზერვო ფონდი</b>                                             | <b>-</b>        | <b>255.3</b>    | <b>175.0</b>   | <b>175.0</b>   | <b>-</b>       |
|                 | ხარჯები                                                            | -               | 255.3           | 175.0          | 175.0          | -              |
|                 | საქონელი და მომსახურება                                            | -               | 255.3           | 175.0          | 175.0          | -              |
| <b>01 02 04</b> | <b>მგეფისა და სხვა ვალდებულების დაფარვა</b>                        | <b>53.2</b>     | <b>113.0</b>    | <b>65.0</b>    | <b>65.0</b>    | <b>-</b>       |
|                 | ხარჯები                                                            | 11.8            | 30.0            | 35.0           | 35.0           | -              |
|                 | პროცენტი                                                           | 9.2             | 21.4            | 35.0           | 35.0           | -              |
|                 | სხვა ხარჯები                                                       | 2.6             | 8.6             | -              | -              | -              |
|                 | სხვადასხვა მიმდინარე ხარჯები                                       |                 | -               | -              | -              | -              |
|                 | ვალდებულებების კლება                                               | 41.4            | 83.0            | 30.0           | 30.0           | -              |
| <b>02 00</b>    | <b>ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია</b>    | <b>19,433.1</b> | <b>17,705.4</b> | <b>3,868.4</b> | <b>1,712.2</b> | <b>2,156.2</b> |
|                 | ხარჯები                                                            | 2,703.8         | 747.3           | 1,683.5        | 1,011.2        | 672.3          |

|                 |                                                                        |                |                |              |              |             |
|-----------------|------------------------------------------------------------------------|----------------|----------------|--------------|--------------|-------------|
|                 | შრომის ანაზღაურება                                                     | 73.3           | 97.2           | 127.0        | 127.0        | -           |
|                 | საქონელი და მომსახურება                                                | 1,127.4        | 650.1          | 886.1        | 884.2        | 1.9         |
|                 | სუბსიდიები                                                             | 690.0          | -              | -            | -            | -           |
|                 | სხვა ხარჯები                                                           | 813.1          | -              | 670.4        | -            | 670.4       |
|                 | სხვადასხვა კაპიტალური ხარჯები                                          | -              | -              | -            | -            | -           |
|                 | არაფინანსური აქტივების ზრდა                                            | 16,729.3       | 16,958.1       | 2,184.9      | 701.0        | 1,483.9     |
|                 | ვალდებულებების კლება                                                   | -              | -              | -            | -            | -           |
| <b>02 01</b>    | <b>საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია და მოვლა შენახვა</b> | <b>6,473.5</b> | <b>8,901.3</b> | 516.6        | <b>500.0</b> | <b>16.6</b> |
|                 | ხარჯები                                                                | 3.4            | -              | 200.0        | 200.0        | -           |
|                 | საქონელი და მომსახურება                                                | 3.4            | -              | 200.0        | 200.0        | -           |
|                 | არაფინანსური აქტივების ზრდა                                            | 6,470.1        | 8,901.3        | 316.6        | 300.0        | 16.6        |
| <b>02 01 01</b> | <b>გზებისა და ტროტუარების მიმდინარე შეკეთება</b>                       | -              | -              | 200.0        | <b>200.0</b> | -           |
|                 | ხარჯები                                                                | -              | -              | 200.0        | 200.0        | -           |
|                 | საქონელი და მომსახურება                                                | -              | -              | <b>200.0</b> | 200.0        | -           |
|                 | არაფინანსური აქტივების ზრდა                                            | -              | -              | -            | -            | -           |
| <b>02 01 02</b> | <b>გზებისა და ტროტუარების კაპიტალური შეკეთება</b>                      | <b>6,473.5</b> | <b>8,901.2</b> | <b>316.6</b> | <b>300.0</b> | <b>16.6</b> |
|                 | ხარჯები                                                                | 3.4            | -              | -            | -            | -           |
|                 | საქონელი და მომსახურება                                                | 3.4            | -              | -            | -            | -           |
|                 | არაფინანსური აქტივების ზრდა                                            | 6,470.1        | 8,901.3        | 316.6        | 300.0        | 16.6        |
| <b>02 02</b>    | <b>გარე განათება</b>                                                   | <b>1,552.2</b> | <b>794.3</b>   | <b>785.8</b> | <b>785.8</b> | -           |
|                 | ხარჯები                                                                | 1,427.0        | 737.3          | 780.8        | 780.8        | -           |
|                 | შრომის ანაზღაურება                                                     | 73.3           | 97.2           | 127.0        | 127.0        | -           |
|                 | საქონელი და მომსახურება                                                | 663.7          | 640.1          | 653.8        | 653.8        | -           |
|                 | სუბსიდიები                                                             | 690.0          | -              | -            | -            | -           |
|                 | არაფინანსური აქტივების ზრდა                                            | 125.2          | 57.0           | 5.0          | 5.0          | -           |
| <b>02 02 01</b> | <b>გარე განათების ქსელის ექსპლუატაცია</b>                              | <b>263.3</b>   | <b>237.3</b>   | 250.8        | <b>250.8</b> | -           |
|                 | ხარჯები                                                                | 263.3          | 237.3          | 250.8        | 250.8        | -           |
|                 | შრომის ანაზღაურება                                                     | 73.3           | 97.2           | 127.0        | 127.0        | -           |
|                 | საქონელი და მომსახურება                                                | 190.0          | 140.1          | 123.8        | 123.8        | -           |
| <b>02 02 02</b> | <b>გარე განათების ახალი წერტილების მოწყობა</b>                         | <b>19.9</b>    | <b>4.0</b>     | 5.0          | <b>5.0</b>   | -           |
|                 | არაფინანსური აქტივების ზრდა                                            | 19.9           | 4.0            | 5.0          | 5.0          | -           |
| <b>02 02 03</b> | <b>გარე განათების ელექტრო ენერგიის ხარჯი</b>                           | <b>473.7</b>   | <b>500.0</b>   | <b>530.0</b> | <b>530.0</b> | -           |

|                 |                                                                 |                |                |                |              |                |
|-----------------|-----------------------------------------------------------------|----------------|----------------|----------------|--------------|----------------|
|                 | ხარჯები                                                         | 473.7          | 500.0          | 530.0          | 530.0        | -              |
|                 | საქონელი და მომსახურება                                         | 473.7          | 500.0          | 530.0          | 530.0        | -              |
| <b>02 02 04</b> | <b>ჩონატური მდგრადი ენერგეტიკული მომავლისათვის</b>              | <b>795.3</b>   | <b>53.0</b>    | -              | -            | -              |
|                 | ხარჯები                                                         | 690.0          | -              | -              | -            | -              |
|                 | სუბსიდია                                                        | 690.0          | -              | -              | -            | -              |
|                 | არაფინანსური აქტივების ზრდა                                     | 105.3          | 53.0           | -              | -            | -              |
| <b>02 03</b>    | <b>მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები</b>               | <b>1,343.4</b> | <b>278.4</b>   | <b>111.5</b>   | <b>5.0</b>   | <b>106.5</b>   |
|                 | ხარჯები                                                         | 37.4           | -              | 5.0            | 5.0          | -              |
|                 | საქონელი და მომსახურება                                         | 37.4           | -              | 5.0            | 5.0          | -              |
|                 | სუბსიდია                                                        | -              | -              | -              | -            | -              |
|                 | არაფინანსური აქტივების ზრდა                                     | 1,306.0        | 278.4          | 106.5          | -            | 106.5          |
| <b>02 03 01</b> | <b>კეთილმოწყობის ღონისძიებები</b>                               | <b>0.4</b>     | -              | -              | -            | -              |
|                 | ხარჯები                                                         | -              | -              | -              | -            | -              |
|                 | საქონელი და მომსახურება                                         | -              | -              | -              | -            | -              |
|                 | სხვა ხარჯები                                                    | -              | -              | -              | -            | -              |
|                 | არაფინანსური აქტივების ზრდა                                     | 0.4            | -              | -              | -            | -              |
| <b>02 03 05</b> | <b>სკვერების მოწყობა-რეაბილიტაცია</b>                           | <b>1,206.0</b> | <b>257.7</b>   | -              | -            | -              |
|                 | არაფინანსური აქტივების ზრდა                                     | 1,206.0        | 257.7          | -              | -            | -              |
| <b>02 03 06</b> | <b>საზოგადოებრივი დანიშნულების შენობების რეაბილიტაცია</b>       | <b>137.0</b>   | <b>20.7</b>    | <b>111.5</b>   | <b>5.0</b>   | <b>106.5</b>   |
|                 | ხარჯები                                                         | 37.4           | -              | -              | -            | -              |
|                 | საქონელი და მომსახურება                                         | 37.4           | -              | -              | -            | -              |
|                 | არაფინანსური აქტივების ზრდა                                     | 99.6           | 20.7           | 111.5          | 5.0          | 106.5          |
| <b>02 05</b>    | <b>საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შეძენა</b>           | <b>223.8</b>   | <b>212.2</b>   | <b>200.0</b>   | <b>200.0</b> | -              |
|                 | ხარჯები                                                         | 3.0            | 10.0           | -              | -            | -              |
|                 | საქონელი და მომსახურება                                         | 1.0            | 10.0           | -              | -            | -              |
|                 | სხვა ხარჯები                                                    | 2.0            | -              | -              | -            | -              |
|                 | არაფინანსური აქტივების ზრდა                                     | 220.8          | 202.2          | 200.0          | 200.0        | -              |
|                 | ვალდებულებების კლება                                            | -              | -              | -              | -            | -              |
| <b>02 06</b>    | <b>სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების დაფინანსება</b> | <b>8,913.1</b> | <b>6,562.6</b> | <b>1,200.4</b> | -            | <b>1,200.4</b> |
|                 | ხარჯები                                                         | 818.5          | -              | 672.3          | -            | 672.3          |

|              |                                                                           |                |                |                |                |                |
|--------------|---------------------------------------------------------------------------|----------------|----------------|----------------|----------------|----------------|
|              | საქონელი და მომსახურება                                                   | 7.4            |                | 1.9            | -              | 1.9            |
|              | სხვა ხარჯები                                                              | 811.1          | -              | 670.4          | -              | 670.4          |
|              | არაფინანსური აქტივების ზრდა                                               | 8,094.6        | 6,562.6        | 528.1          | -              | 528.1          |
| <b>02 07</b> | <b>ა(ა)იპ „კურორტი ბახმარო“</b>                                           | -              |                | -              | -              | -              |
| <b>02 09</b> | <b>საზედამხებელო და საექსპერტო მომსახურების შეძენა</b>                    | <b>113.3</b>   | <b>225.2</b>   | <b>320.8</b>   | <b>221.4</b>   | <b>99.4</b>    |
|              | ხარჯები                                                                   | 3.5            | -              | 25.4           | 25.4           | -              |
|              | საქონელი და მომსახურება                                                   | 3.5            |                | 25.4           | 25.4           | -              |
|              | სხვა ხარჯები                                                              | -              | -              | -              | -              | -              |
|              | არაფინანსური აქტივების ზრდა                                               | 109.8          | 225.2          | 196.0          | 196.0          | 99.4           |
| <b>02 04</b> | <b>სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტები</b> | <b>813.8</b>   | <b>731.4</b>   | <b>733.3</b>   | -              | <b>733.3</b>   |
|              | ხარჯები                                                                   | 411.0          | -              | -              | -              | -              |
